


ვამტიკებ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი

სალომე მელია



## საჭადრაკო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი - 2021“

ღია რეიტინგ ტურნირი 10, 12, 20 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ქ. ბათუმი, 18 - 22 დეკემბერი, 2021 წელი.

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორგანიზატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია;

**ფინანსური მხარდამჭერი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი;

**ჩატარების ადგილი:** ქ. ბათუმი, გორგილაძის 91, ბათუმის სასპორტო სკოლა.

#### 1. ფესტივალი ჩატარდება შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში:

- |                                     |  |
|-------------------------------------|--|
| 10 წლამდე ჭაბუკთა შორის             | (2011 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი) |
| 10 წლამდე გოგონათა შორის            | (2011 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი) |
| 12 წლამდე ჭაბუკთა შორის             | (2009 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი) |
| 12 წლამდე გოგონათა შორის            | (2009 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი) |
| 20 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის | (2001 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი) |

#### 2. ფესტივალის სათამაშო წესები

ფესტივალის ყოველი ასაკობრივი კატეგორია გაიმართება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით, 7 ტურად. დროის კონტროლი: 30 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. 20 წლამდე კატეგორიაში დაითვლება ფიდეს რეიტინგი, 10,12 წლამდე კი რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ 1 ტურის წინ გამოცხადდება ორგანიზატორის გადაწყვეტილებით. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას და დროის კონტროლს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

### 3. რეგისტრაცია:

ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს ასაკობრივი ცენზის დაცვით.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრებს (თავიანთი რეგიონის მიხედვით) გადახდილი უნდა ჰქონდეთ წლიური საწევრო თანხა (24 ლარი).

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ბმული:

<https://forms.gle/tV5LUZEJX7zG9Xnd9>

საკონტაქტო მობ: 599 069497

**რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2021 წლის 18 დეკემბრის 19:00 საათი.**

### 4. სატურნირო შესატანი — 18 დეკემბრის 19:00 საათამდე - 30 ლ.

რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან ტურნირის დაწყებამდე - 40 ლარი.

სატურნირო შესატანის წინასწარი ანგარიშსწორება იწარმოებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია

საინდ. კოდი: 245424704 ს.ს.” საქართველოს ბანკი”,

მფო BAGAGE22 ანგარიშის № GE95BG 0000 000 363 099 200

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

მეორე ტურის დამთავრებამდე საწევრო შესატანის გადაუხდელობის შემთხვევაში, მონაწილე ამოღებული იქნება სიიდან.

### 5. ფესტივალის განრიგი

ჩამოსვლის დღე	18 დეკემბერი	
გახსნა	19 დეკემბერი	11:30
1 ტური	19 დეკემბერი	12:00
2 ტური	19 დეკემბერი	15:00
3 ტური	20 დეკემბერი	12:00
4 ტური	20 დეკემბერი	15:00
5 ტური	21 დეკემბერი	12:00
6 ტური	21 დეკემბერი	15:00
7 ტური	22 დეკემბერი	12:00
დახურვა	22 დეკემბერი	15:00

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორგანიზატორი უფლებამოსილია მოახდინოს ტურნირის დაწყების დროს (საათი) შესაბამისი კორექტირება.

## 6. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

## 7. პრიზები

- ყველა ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებული სამეული ჭაბუკი და გოგონა დაჯილდოვდება აჭარის ჭადრაკის ფედერაციის შესაბამისი ხარისხის დიპლომით, მედლით და ფასიანი საჩუქრით;
- ჩემპიონები აგრეთვე - თასით;
- 20 წლამდე რეიტინგ ტურნირის გამარჯვებული დამატებით დაჯილდოვდება ტურნირის დამაარსებლის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის ქეთევან მუხაშარიას სახელობის სპეციალური პრიზით;
- ტურნირში აგრეთვე გამოიყოფა საუკეთესო ჭაბუკი და გოგონა 8, 14, 16 და 18 წლამდე კატეგორიებში.
- ყოველდღიურად გაიმართება საჭადრაკო ვიქტორინა და დაწესებული იქნება სხვადასხვა სპეციალური პრიზებიც.
- პრიზებისა და საჩუქრების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

## 8. მწვრთნელთა კონკურსი

მწვრთნელის კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელია, რომ ფესტივალის ასაკობრივ კატეგორიებში თამაშობდეს მისი არანაკლებ 3 მოსწავლე, რომლებიც ითვლებიან მის მოსწავლეებად არანაკლებ 6 თვისა. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მწვრთნელებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ მე-3 ტურის დაწყებამდე. ყველა ასაკობრივ კატეგორიაში რომელიც გაიმართება დამოუკიდებლად, 1 – 3 ადგილზე გასული მოჭადრაკეების შედეგების შეჯამება მოხდება შემდეგი პრინციპით:

- I ადგილი - 10 ქულა
- II ადგილი - 8 ქულა
- III ადგილი - 6 ქულა

(სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებიდან, რომელიც არ ჩატარდება დამოუკიდებლად, გამოიყოფა თითო საუკეთესო შედეგის მქონე ჭაბუკი და გოგონა, შესაბამისად მწვრთნელთა კონკურსშიც ამ ასაკებიდან დაითვლება მხოლოდ ერთი საუკეთესო შედეგი)

ქულათა რაოდენობის მიხედვით გამარჯვებული 3 მწვრთნელი დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრით, აგრეთვე, რეგიონის ყველა სტუმარს გადაეცემა სიმბოლური საჩუქრები.

### 9. საერთო წესები

ტურის დაწყებიდან 15 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩათვლება წაგება. პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩათვლება წაგება. ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება ფესტივალის გახსნის ცერემონიაზე. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

კოვიდ - 19 -თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო, მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 1 -ით.

### 10. მონაწილეთა მიღება

მონაწილეთა სატურნირო შესატანს, ცხოვრების, კვების და გზის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი,  
საერთაშორისო დიდოსტატი - სალომე მელია

მთავარი მსაჯი: ფილეს არბიტრი - ლეონიდ ნეურონოვი